ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3620967

ნომერი: AR1548393

თარიღი : 11.10.2017

გაცემის თარიღი : 18.10.2017

გაცნობის თარიღი : 18.10.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , N 42 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნათია მანძულაშვილი პ/ნ 52001009209
- წალკა ს. რეხა

ორგანიზაცია:
- შპს ჯი პი კუთსან კოდი: 424614992

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ შენობის ფასადზე განხორციელებულია უნებართვო მშენებლობა და შესასვლელ კარზე უნებართვოდ მოწყობილია დამცავი რიკინის ჟალუზი, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57–ე დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ, ან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მითითების საფუძველზე განხორციელდეს უნებართვო სამუშაოების დემონტაჟი და წარმოადგინეთ განახლებული ფოტოსურათები და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სათანადო აქტი.
მხოლოდ ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ შესძლებს სამსახური განაცხადის განხილვას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

ასევე გაითვალისწინეთ:

1. მესაკუთრის თანხმობა არ არის მისაღები, რადგან თანხმობა გამოთქმულია წარდგენილი ფოტომონტაჟის შესაბამისად. თანხმობასთან ერთად წარმოსადგენია აღნიშნული ფოტომონტაჟი ან წარმოადგინეთ ზოგადი თანხმობა.

2. მინდობილობა არ არის მისაღები, რადგან გაცემულია გარე რეკლამის შეთანხმებასთან დაკავშირებით. წარმოადგინეთ ზოგადი მინდობილობა ან მოთხოვნილ სამუშაოებთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.